ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №184

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 01 დეკემბერი 2014 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება.
2. „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;
5. „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *სსიპ-საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასა* (შემდგომში „შემსყიდველი") *მდებარე ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №65*

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „კომპანია ჯაოკენი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

მდებარე ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №41

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ მაგიდის მოსაპირკეთებლად საჭირო გრანიტის ფილების (CPV 44212381) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
2. შესყიდვის საერთო რაოდენობა შეადგენს – 5.04 კვ. მ-ს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

1. შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **134.06** (ასოცდათოთხმეტი ლარი და ექვსი თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2. ერთეულის მიხედვით (1 კვ/მ) ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს – 26.60 ლარს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების პირობები და მიაწოდოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 დეკემბრისა.
2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე.
3. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას: უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე;

6. მიღება-ჩაბარების წესი

1. საქონლის მიწოდება დასტურდება მხარეთა შორის შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებით.

2. მიღება-ჩაბარების აქტს „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს მოაწერს სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – იოსებ ჩორგოლაშვილი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან – მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1. შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – იოსებ ჩორგოლაშვილი.

8. ხარისხი და გარანტია

1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის და სრულ შესაბამისობაში იქნება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილ ნიმუშთან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს უხარისხო პროდუქციის ჩანაცვლება ახლით.

9. ფასები და ანგარიშსწორების პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასის გაზრდა დაუშვებელია.

2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

3. ანარიშსწორება მოხდება მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში.

4. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11. ფორს-მაჟორი

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. დავების გაწყვეტის წესი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 იანვრამდე.

2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორია
სს „საქართველოს ბანკი"
ბ. კოდი BAGAGE22
ანგ. №GE65BG0000000215279500
საიდ. კოდი 205162802

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „კომპანია ჯაოკენი"
საიდ. კოდი 200031241;
სს „საქართველოს ბანკი"
ბ. კოდი BAGAGE22
ანგ. № GE62BG0000000178363100
მის: თ. ერისთავის ქ. №1.

ლალი მაძღარაშვილი
დირექტორი

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი